პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ ხუთშაბათი 2 თებერვალი 1978 წ. □ № 28 (17072) □ ფასი 2 კაპ.

ᲩᲐᲛᲘᲠᲝᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲩᲐᲚᲝᲗ ᲛᲠᲔᲭᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲘᲡ, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ, ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲝᲗ ᲨᲘᲓᲐᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲐᲡ, ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲕᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡ, ᲓᲦᲔᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲕᲘᲖᲠᲣᲜᲝᲗ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲒᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲦᲕᲬᲝᲓᲔᲗ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲙᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ 1977 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

1977 წელი ისტორიაში შევიდა როგორც საიუბილეო წელი, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის მიღების წელი. ამ ორმა უდიდესმა მოვლენამ ქვეყნის ცხოვრებაში ფართო მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ახალი მძლავრი აღმავლობა გამოიწვია.

სულ უფრო იზრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის — მთელი ხალხის ავანგარდის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი. პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მხურვალედ უჭერს მხარს ყველა კომუნისტი, ყველა საბჭოთა ადამიანი.

გასულ წელს ქვეყნის სახალხო მეურნეობის მიერ მოპოვებულ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს სსრ მშრომელებმაც.

რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 7,1 პროცენტით გაიზარდა. ბევრი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის მიხედვით ვადაჭარბებით შესრულდა სოციალისტური ვალდებულებანი. წარმოებულია 196,6 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ხარისხის სახელმწიფო ნიშნიანი ნაწარმის რაოდენობა 400-დან 714-მდე გაიზარდა, ხოლო ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში თითქმის გაორკეცდა.

დიდი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმაც. მეჩაიეებმა 412 ათასი ტონა მწვანე ჩაის ფოთოლი მოკრიფეს და დიდად გადააჭარბეს ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დადგენილ მაჯნას. საქართველოს მთელ ისტორიაში რეკორდული იყო ციტრუსების, საადრეო კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მოსავალი.

ბევრი რამ გაკეთდა კაპიტალური მშენებლობის დარგში, ამოქმედდა ახალი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, სბავშვო ბაღები, საავადმყოფოები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, რესპუბლიკის დედაქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა კულტურის უნიკალური ობიექტები — თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის აღდგენილი და რეკონსტრუირებული შენობა და ა. გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრის ახალი შენობა. დამთავრდა ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობა.

საქართველოს სსრ მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გადწყვეტილებებს, რომლებმაც განიხილეს და დაამტკიცეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1978 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილში „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ განსაზღვრულია ძირითადი ამოცანები, დასახულია მოქმედების კონკრეტული პროგრამა, რომლის რეალიზაცია შესაძლებლობას მოგვცემს შევასრულოთ სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზული წინასწარდასახულობანი.

ამ გადაწყვეტილებათა პასუხად საბჭოთა საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, განსაზღვრავენ 1978 წლის პროგრამის ვადამდე შესრულების გზებს. შეჯიბრების ინიციატორები — რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, გაერთიანება „ელექტროაპარატის“ კოლექტივები, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები და სხვები თავიანთ ვალდებულებებში ითვალისწინებენ შრომის, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, ნაწარმის ტექნიკური დონის ამაღლებას, სიმძლავრეთა ამოქმედებას. მთლიანად მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ვადიდებას.

ახალი ძალით გააჩაღეს რა ბრძოლა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით შეიარაღებული რესპუბლიკის მშრომელები 1978 წლისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივები:

რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ხუთწლედის სამი წლის გეგმას შეასრულებენ 12 დეკემბრისათვის. 1978 წელს წარმოებას გაზრდიან 7,1 პროცენტით, გამოუშვებენ 160 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას.

მათ შორის:

ფოლადის მილებს	— ათას ტონას
მანგანუმის მადანს	—39 ათას ტონას
ფეროშენადნობებს	— 2,5 ათას ტონას
აზოტის სასუქებს	— 15 ათას ტონას
„კაზ-608ვ“ ავტომობილებს	— 100 ცალს
მცირე სიმძლავრის ტრანსფორმატორებს	— 5 ათას ცალს
სამრეწველო ელმავლებს	— 2 ცალს
წინდებს	— 100 ათას წყვილს
ტრიკოტაჟის საცვლებს	— 200 ათას ცალს
ზედა ტრიკოტაჟს	— 30 ათას ცალს
შეკერილ ნაწარმს	— 1 მილიონი მანეთისას
ქრომის ტყავის მასალებს	— 250 ათას კვადრატულ დეციმეტრს
ტყავსაგალანტერეო ნაწარმს	— 75 ათასი მანეთისას
საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმს	—150 ათასი მანეთისას
ფეხსაცმელს	— 50 ათას წყვილს
ჭურჭელსა და მელქიორის ნაწარმს	— 150 ათასი მანეთისას
ბაიხაო ჩაის	— 1,2 ათას ტონას

ყველგან მოაწყობენ ბრძოლას ყველა სახეობის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, ხარისხის უმაღლესი კატეგორიის ნაწარმის გამოშვების გადიდებისათვის, რის შედეგად სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის რიცხვს 714-დან 900-მდე გაზრდიან, ხოლო მის ხვედრით წონას პროდუქციის საერთო მოცულობაში, რომელსაც რესპუბლიკის საწარმოები უშვებენ, გაადიდებენ 12 პროცენტამდე.

განაგრძობენ რესპუბლიკის 250 საწარმოში პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის ეტაპობრივი დანერგვისათვის მუშაობას. აითვისებენ 167 ახალი სახეობის ნაწარმს, მათ შორის ადაპტური მართვის სპეციალური მილდასამუშავებელი ჩარხების, კამის საავტომობილო ქარხნისათვის მოდერნიზებული ნახევარმისაბმელების, ავტოსატრაქტორო მრეწველობისათვის სწორკუთხა კვეთის მილების, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების, ავეჯის გარნიტურების, შეკერილი და ტრიკოტაჟის ნაწარმის, უქსოვი ქსოვილების, ფაიფურის ჭურჭლის გამოშვებას. წარმოებაში დანერგავენ 24 ათას რაციონალიზატორულ წინადადებას და ამ გზით მიიღებენ 50 მილიონ მანეთ პირობით ეკონომიას.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერებას 1977 წელთან შედარებით გეგმით გათვალისწინებული 5,4 პროცენტის ნაცვლად 5,5 პროცენტით გაზრდიან. მატების სულ ცოტა 83 პროცენტს უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ძირითადი საწარმოო ფონდების ფონდუკუგებას გადიდებენ 1,7 პროცენტით, მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტს კი მანქანათმშენებლობაში 5 პროცენტით გაზრდიან.

ყველგან მიაღწევენ მომჭირნეობის რეჟიმის მკვეთრ დაცვას, მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებას და პროგრესული კონსტრუქტორული გადაწყვეტილების გამოყენების, ტექნოლოგიის სრულყოფის გზით უზრუნველყოფენ 3 პროცენტით საქვაბე-საღუმელე სათბობის ფონდის, 2 პროცენტით საავტომობილო बენზინისა და დიზელის სათბობის, 3 პროცენტით ელექტრო და თბოენერგიის და 2 პროცენტით შავი ლითონების ნაგლინის შემცირებას ხარჯვის დადგენილ ნორმებთან და მათი მომჭირნეობის დავალებებთან შედარებით.

შეამცირებენ პროდუქციის თვითღირებულებას და მიიღებენ ზეგეგმით მოგებას ორი მილიონი მანეთის ოდენობით.

განაახლებენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის ნომენკლატურას და გაადართმევენ მის ასორტიმენტს, ამ საქონლის წარმოების მოცულობას გაზრდიან 32 მილიონი მანეთით.

უზრუნველყოფენ სამრეწველო პროდუქციის მატებას 270 მილიონი მანეთის მოცულობით საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების გზით.

საქართველოს სსრ მთავარგაზის ძალებით გეგმის გადაჭარბებით გაზიფიცირებული იქნება 1500 ბინა, მათ შორის სოფლად — 1200 ბინა. შესრულდება 90 კილომეტრი სიგრძის სარწყავი ქსელის მშენებლობის დამატებითი სამუშაოები ქარელის რაიონის მალხაზისწყვერის მასივის 440 ჰექტარი მიწის მოსარწყავად.

ტრანსპორტის მუშაკები გეგმის გადაჭარბებით დატვირთავენ და გაგზავნიან: რკინიგზის ტრანსპორტით — 200 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით — 500 ათას ტონას, საზღვაო ტრანსპორტით — 15 ათას ტონა ტვირთს, საავიაციო ტრანსპორტით გადაიყვანენ 15 ათას მგზავრს. უზრუნველყოფენ ოთხი კიდუღი საბაგირო გზის ვადამდე, 1978 წლის 21 დეკემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემას. დაზოგავენ ბენზინსა და დიზელის სათბობს საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ტვირთზიდვის დროს 1,5 პროცენტით მეტს სახაზო ნორმებთან შედარებით.

კავშირგაბმულობის მუშაკები გეგმის დამატებით საექსპლოატაციოდ გადასცემენ 1200 ნომრისათვის გათვალისწინებულ საქალაქო და სასოფლო სატელეფონო ქსელების სიმძლავრეებს. მოტორიზებულ მიტანაზე გადაიყვანენ 100 უბანს, გეგმის ვადაჭარბებით დადგამენ 1000 რადიოწერტილს, მოაწყობენ 250 საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო არხს, 5 მიკროორტრანსლატორს.

სოფლის მეურნეობის მშრომელები, სოფლის მექანიზატორები და მუშაკები, მელიორატორები და ირიგატორები:

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველგვარი ინტენსიფიკაციის, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლების, მექანიზაციის, მიწების მელიორაციისა და ქიმიზაციის დონის ამაღლების გზით კიდევ უფრო განავითარებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა დარგს.

(დასასრული მე-2 გვ.)

ᲒᲠᲙᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲞᲘᲚᲝᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲙᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲐ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, 1 თებერვალი. (საკდესი). „სალუტ-6“ — „სოიუზ-27“ — „პროგრეს-1“ ორბიტული პილოტირებული კომპლექსის ეკიპაჟი დღეს სატრანსპორტო ხომალდის განტვირთვის სამუშაოებს ამთავრებს.

დღის განმავლობაში იური რომანენკოსა და გიორგი გრეჩკოს „პროგრეს-1“ ხომალდში გადაქაჩეს სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის ნამუშევარი მოწყობილობა: რეგენერატორები, ფილტრები, ცარიელი ტევადობანი და წყლისა და ხურსათის კონტეინერები. მთელ სამუშაოს კოსმონავტები ასრულებენ სპეციალისტთა მიერ შემუშავებული ტვირთის გადატანისა და განაწილების ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად.

სადგურში მიტანილ სამედიცინო მოწყობილობას, ფოტო და კინოფირებს, სურსათს კოსმონავტები აწყობენ შესანახ საშტატო ადგილებში.

განტვირთვის სამუშაოებს ეკიპაჟი უხამუს დედამიწის ზედაპირის რეგულარულ დაკვირვებებს, კერძოდ, შემუშავებული მეთოდიკით კოსმონავტები განსაზღვრავენ და აზუსტებენ ზღვის დინებებს და მსოფლიო ოკეანის წყლის ზედაპირის გაუუმჯობესებას, სწავლობენ იმ ზღვების სანაპირო შელფებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიას ეკვრის.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და ეკიპაჟის ცნობების შესაბამისად, პილოტირებული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

კოსმონავტები იური რომანენკო და გიორგი გრეჩკო ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲣᲛᲘ

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲬᲘᲗᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲡ მეექვსე ტომი

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეექვსე ტომი „ლენინური კურსით“. ტომში შეტანილია ნაწარმოებები, რომლებიც 1976-1977 წლებს განეკუთვნება.

ამ ტომის მასალებში ნაჩვენებია კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის — საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნეკის მრავალმხრივი საქმიანობა პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა შესრულებისათვის. კრებულის მასალები მკაფიოდ წარმოსახავენ ამხანაგ ლ. ი ბრეჟნევის თვალსაჩინო წვლილს ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, მთელი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობაში.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომები, რომლებიც კომუნისტური იდეურობისა და პარტიულობის ნიმუშს წარმოადგენენ, ხაშუალებას აძლევენ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს უფრო ღრმად შეითვისონ ჩვენი განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კანონზომიერებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, მთელი სიხარულით წარმოადგინონ პარტიის ტიტანური მოღვაწეობა უდიდესი მუშაობას — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ხელმძღვანელობაში.

(საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Გ. Შ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გურამ ზაალის ძე მირიანაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. ᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1978 წლის 1 თებერვალი.

ᲐᲛᲮ. გურამ ზაალის ძე მირიანაშვილი დაიბადა 1927 წელს ქალაქ თბილისში, ქართველი, არის სკკპ წევრი 1953 წლიდან.

Უ. Დ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გ. ზ. მირიანაშვილი 1949 წლიდან მუშაობდა „თბილისსაქაპროექტის“ ინსტიტუტის არქიტექტორად, 1952 წლიდან იყო არქიტექტორთა დახელოვნების ფაკულტეტის მსმენელი, შემდეგ მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის მასწავლებელი, 1958 წლიდან, ამ ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მთავარ არქიტექტორად „საქმაქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტში. 1964 წლიდან — განყოფილების ხელმძღვანელად თბილისის ხაცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობათა ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურ საპროექტო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, 1972 წლიდან — მთავარ არქიტექტორად — დირექტორის მოადგილედ „საქმაქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტში, ხოლო 1972 წლის დეკემბრიდან — საპროექტო „თბილისპროექტის“ ინსტიტუტში დირექტორად.

ᲐᲛᲮ. Გ. Შ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ არჩეულია საქართველოს კომპარტიის თბილისის ხაქალაქო კომიტეტის წევრობის კანდიდატად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრად, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამეობის წევრად.

ᲐᲛᲮ. Გ. Შ. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ აქვს არქიტექტურის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, მას მიენიჭა „საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის“ საპატიო წოდება, არის ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ Რ. ᲙᲐᲡᲢᲠᲝ

1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რ. კასტრო.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. თ. უსტინოვი.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირსა და კუბის ძმური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების შესახებ. შეეხნენ აგრეთვე თანამედროვე პირობებში ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საერთაშორისო ცხოვრების ზოგიერთ საკითხს.

საუბარმა მეგობრობის, გულითადობისა და ხრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

1 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი რ. კასტრო. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** საუბრის დროს.

ᲡᲙᲙᲞ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ტელეფოტო.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ ᲨᲔ

ᲝᲞᲔᲠᲐ „ᲢᲠᲣᲑᲐᲓᲣᲠᲘᲡ“, რომელიც დადგა იტალიელმა კომპოზიტორმა ჯუზეპე ვერდიმ შექმნა 125 წლის წინ, ს

საქართველოს სსრ მშრომელთა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული).

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჰექტარობრივ მოსავლიანობას გაზრდიან:

მარცვლეული კულტურებისა	— 24 ცენტნერამდე
ყურძნისა	— 64 ცენტნერამდე
ჩაისა	— 70 ცენტნერამდე
შაქრის ჭარხლისა	— 377 ცენტნერამდე
კარტოფილისა	— 135 ცენტნერამდე
ბოსტნეულისა	— 145 ცენტნერამდე
ხილისა	— 55 ცენტნერამდე
ციტრუსებისა	— 107 ცენტნერამდე
ზეგეგმითს პროდუქციასთან ერთად სახელმწიფოს მიჰყიდიან:	
მარცვლეულს	— 160 ათას ტონას
ყურძენს	— 512 ათას ტონას
ხილს	— 395 ათას ტონას
ხარისხოვან ჩაის ფოთოლს	— 400 ათას ტონას
ციტრუსებს	— 150 ათას ტონას
შაქრის ჭარხალს	— 130 ათას ტონას
კარტოფილს	— 145 ათას ტონას
ბოსტნეულს	— 295 ათას ტონას
ბაღჩეულს	— 15 ათას ტონას
თამბაქოს	— 18.5 ათას ტონას
ეთერზეთოვან ნედლეულს	—28 ათას ტონას

ერთ საფურაჟე ძროხაზე საშუალო წველადობას გაზრდიან 1800 კილოგრამამდე, ერთი მოქცეულის კვერცხისმდებლობას — 180 ცალამდე. ერთი სული სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ცოცხალ წონას გაადიდებენ 16 კილოგრამით 1977 წლის მაჩვენებლებთან შედარებით და მას 265 კილოგრამამდე გაზრდიან.

გაზრდიან სულადობას

ძროხისას	3 ათასით
მოქცეულისას	500 ათასით

დაამზადებენ სახალხო-სამეურნეო გეგმისა და დამატებითი დავალებების გადაჭარბებით:

ხორცს	— ათას ტონას
რძეს	— 5 ათას ტონას
კვერცხს	3 მილიონ ცალს

უზრუნველყოფენ, რომ სახელმწიფოს მიეყიდოს: ხორცი (ცოცხალი წონა) — 140 ათასი ტონა, რძე — 265 ათასი ტონა, კვერცხი — 403 მილიონი ცალი; გაზრდიან სახელმწიფოსათვის პირველი ხარისხის რძის ჩაბარებას 10 პროცენტით, გაადიდებენ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი უმაღლესი ნასუქობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხვედრითს წონას 50 პროცენტამდე.

კიდევ უფრო განავითარებენ მეცხოველეობის საკვებ ბაზას, ჩადებენ 800 ათას ტონა სენაჟს, 50 ათას ტონა ჩალა-ნამჯას, დაამზადებენ 640 ათას ტონა თივას, 900 ათას ტონა სილოსს, აწარმოებენ 40 ათას ტონა ხელოვნურად გამოშრობილ ბალახის ფხვნილს, შეინახავენ 160 ათას ტონა საფურაჟე მარცვლეულს.

751 ათასი ტონა კომბინირებული საკვების წარმოების გეგმას შეასრულებენ ვადამდე, 22 დეკემბრისათვის და გეგმის დამატებით გამოიმუშავებენ 25 ათას ტონა კომბინირებულ საკვებს, გაუმჯობესებენ ხარისხს და მიკროელემენტებით, ვიტამინებით, ანტიბიოტიკებითა და ამინმჟავებით გაამდიდრებენ 520 ათას ტონა კომბინირებულ საკვებს.

რესპუბლიკის კომკავშირელთა ძალებით დაამზადებენ:

თივას	— 250 ათას ტონას
სენაჟს	— 450 ათას ტონას
სილოსს	— 400 ათას ტონას

კომკავშირული სგზურებით მეცხოველეობაში გაგზავნიან 1000 კომკავშირელსა და ახალგაზრდას.

იმ მიზნით, რომ მნიშვნელოვნად აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონე, უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა პარკის ორ ცვლად მუშაობა, 1978 წელს მოამზადებენ 10 ათასამდე სხვადასხვა პროფილის მექანიზატორს.

განახორციელებენ მეცხოველეობის ფერმებში 120 ათასი მანეთის სამონტაჟო სამუშაოებს, გეგმის დამატებით შეაკეთებენ 220 ტრაქტორსა და ავტომობილს, 320 ძრავას. უზრუნველყოფენ დავალების დამატებით 2 მილიონი მანეთის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა რეალიზაციას.

დასახული ვადების გასწრებით უზრუნველყოფენ 1550 ჰექტარი დაშრობილი მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემას.

დაამრობენ კოლხეთის დაბლობის 8750 ჰექტარ მიწას, აქედან 1388 ჰექტარ ახალ მიწებს.

გაერთიანება „საქმელიორაციის“ ძალებით გაზრდიან მიწების წყლით უზრუნველყოფას 52,3 ათას ჰექტარ ფართობზე.

საექსპლოატაციოდ გადასცემენ 14.000 ჰექტარ სარწყავ მიწებს.

მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები:

უზრუნველყოფენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდას 1977 წელთან შედარებით 7 პროცენტით, შეასრულებენ საიჯარო სამუშაოთა წლიურ გეგმას 28 დეკემბრისათვის.

გამოიმუშავებენ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მილიონი მანეთის დამატებითს პროდუქციას, აქედან აწარმოებენ ვეგმის გადაჭარბებით: 20 ათას კუბურ მეტრ ინერტულ მასალებს, 3 ათას კვადრატულ მეტრ მოსაპირკეთებელ კერამიკულ ფილებს, 5 ათას კვადრატულ მეტრ მარმარილოს მოზაიკურ ფილებს.

განაგრძობენ იმ კურსს, რომ თავი მოუყარონ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს უწინარეს ყოვლისა უმნიშვნელოვანეს ასამოქმედებელ ობიექტებზე, კონტროლი არ მოაკლონ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებას. საექსპლოატაციოდ გადასცემენ ენგურჰესის 780 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის 3 აგრეგატს, ვარიხჰესის მეორე რიგს, გლდანის ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკას, სუჯუნის მეცხოველეობის კომპლექსს, 6 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადასამუშავებელ სიმძლავრეებსა და 18 ათასი ტონა პირველადი მეღვინეობის სიმძლავრეებს.

საექსპლოატაციოდ გადასცემენ 1977 წელთან შედარებით 35 ათასი კვადრატული მეტრით მეტი ფართობის საცხოვრებელ სახლებს, ამასთან უზრუნველყოფენ სამუშაოთა მაღალ ხარისხს.

გაზრდიან ბრიგადული იჯარის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რაოდენობას მათი საერთო რიცხვის 45 პროცენტამდე. სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებში მანქანა-მექანიზმების უფრო სრული გამოყენების, მცირე მექანიზაციისა და მუშაობის მოწინავე მეთოდების ფართო დანერგვის გზით 0,2 პროცენტით გადაჭარბებენ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმას.

გამოიყენებენ მსუბუქ კონსტრუქციებსა და დეტალებს, ახალ პროგრესულ მასალებსა და კონსტრუქტორულ გადაწყვეტებს, სისტემატურად განახორციელებენ წარმოების ტექნოლოგიის, მასალის ტრანსპორტირებისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებებს, მნიშვნელოვნად შეამცირებენ საწარმოო ნარჩენებს და ამის მეოხებით დაწესებულ დავალებებთან შედარებით დაზოგავენ მეტს: ცემენტს — 2 პროცენტს, ლითონს — 0,5 პროცენტს, ხე-ტყის მასალას — 1,5 პროცენტს.

აშენებენ და განაახლებენ საერთო-სახელმწიფო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის 62 კილომეტრ საავტომობილო გზებს, მაშინ როცა ვეგმა 60 კილომეტრს ითვალისწინებს, გეგმასთან შედარებით 8 კილომეტრით გაზრდიან ვაუმჯობესებულსაფარიანი გზების ქსელს.

უზრუნველყოფენ კომუნალური მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას საბინაო ფონდისა და კომუნალური დანიშნულების ობიექტების ექსპლოატაციაში. განაგრძობენ შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების პროგრამის განხორციელებას, საექსპლოატაციოდ გადასცემენ საწმენდ ნაგებობებს ქუთაისსა და ახალ ათონ-გუდაუთის რაიონში. 25 დეკემბრამდე შეასრულებენ საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმას.

ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები:

სახელმწიფო ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმას შეასრულებენ ვადამდე, 28 დეკემბრისათვის, მოსახლეობას გეგმის დამატებით მიჰყიდიან 63 მილიონი მანეთის საქონელს. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის საზოგადოებრივ კვებაში 500 ათასი მანეთით გადააჭარბებენ საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმას და მიიღებენ 600 ათასი მანეთის ზეგეგმითს მოგებას.

დეცენტრალიზებული შესყიდვის წესით საქონელგაცვლის ოპერაციების გზით გამოძებნიან საქონლის დამატებითს რესურსებს 100 მილიონი მანეთის ოდენობით.

გაფართობენ თვითმომსახურების მაღაზიების ქსელს და სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების საერთო საქონელბრუნვაში მათი საქონელბრუნვის ხვედრითს წონას გაზრდიან 47.5 პროცენტამდე. მომხმარებელთა წინასწარი შეკვეთებით მოვაჭრე მაღაზიების რიცხვს გაზრდიან 60 ერთეულით.

სამრეწველო საწარმოებში შექმნიან სასურსათო საქონელზე შეკვეთების მიმღებ 10 პუნქტს.

სამომხმარებლო კოოპერაციაში საქონელბრუნვის გეგმას შეასრულებენ 21 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით მოსახლეობას მიჰყიდიან 28 მილიონი მანეთის საქონელს, გეგმის დამატებით უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მილიონი მანეთის საკუთარი პროდუქციის რეალიზაციას. დაამზადებენ 22.5 ათას ცენტნერ ხორცს, გეგმით გათვალისწინებული 6,5 ათასი ცენტნერის ნაცვლად.

მიმოქცევის ხარჯებში დაზოგავენ 260 ათას მანეთს. შეამცირებენ ზენორმატიული საქონლის მარაგს 10 მილიონი მანეთით, გეგმით გათვალისწინებული 6,5 მილიონი მანეთის ნაცვლად.

უზრუნველყოფენ, რომ ჩინებული სავაჭრო მომსახურების საწარმოს წოდება მიენიჭოს სულ ცოტა 65 საწარმოს. გეგმის გადამეტებით თვითმომსახურებაზე გადაიყვანენ 10 მაღაზიას.

ვადამდე, 29 დეკემბრისათვის შეასრულებენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საგეგმო დავალებებს და 750 ათასი მანეთის ზეგეგმითს მომსახურებას გაუწევენ მოსახლეობას.

უპირატესი ტემპით განავითარებენ საყოფაცხოვრებო სამსახურს სოფლად. გაზრდიან მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მოცულობას 24 პროცენტამდე, გეგმით გათვალისწინებული 22,3 პროცენტის ნაცვლად. დანერგავენ მომსახურების სულ ცოტა 30 ახალ სახეობასა და ფორმას.

მიიღებენ ზეგეგმითს მოგებას საყოფაცხოვრებო სამსახურის საქმიანობის ყველა სახეობაში 300 ათასი მანეთის ოდენობით.

ყველა მუშაკის მეცადინეობას წარმართავენ ვაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის, საწარმოებში, მომსახურების სფეროში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად, განუხრელად აამაღლებენ მოსახლეობის მომსახურების კულტურასა და ხარისხს.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწარმო-ორგანიზაციათა მუშაკები:

ფონდების სრული და რიტმული რეალიზაციის გზით უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის შეუფერხებელ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

საბითუმო საქონელბრუნვის წლიურ გეგმას გაანაღდებენ 27 დეკემბრისათვის.

აამაღლებენ დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოების მექანიზაციის დონეს და გაზრდიან მას 89 პროცენტამდე.

მიიღებენ ზომებს მომარაგება-გასაღების ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისაკენ, სასაწყობო მეურნეობის, ტექნიკური განახლებისა და მისი ფართობის 3.5 ათასი კვადრატული მეტრით გადიდების გზით მიიღებენ მილიონი მანეთის ეკონომიკურ ეფექტს.

გააუმჯობესებენ მომარაგების სამსახურების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიმდინარე მუშაობას.

მეცნიერები და სასწავლებელთა კოლექტივები:

განამტკიცებენ და გააღრმავებენ საწარმოო კოლექტივებთან თანამეგობრობას, აამაღლებენ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობას, შეამცირებენ სახალხო მეურნეობაში ნაკვლევის დანერგვის ვადებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა კოლექტივები ვადამდე და მაღალ ნეცნიერულ დონეზე შეასრულებენ სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა გეგმებს. ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის მაღაროებში დანერგავენ ჩარჩოსებრ ასაწყობ რკინა-ბეტონის სამაგრს, რომელიც უზრუნველყოფს 150 მანეთის ეკონომიკურ ეფექტს ყოველ მეტრ სამთო გამონამუშევარზე; შეიმუშავებენ დიზელისძრავიანი ავტომობილებისათვის იძულებითი ფუჭი სვლის რეჟიმზე ავტომატურად სამართავ სათბობგადამკეტ მოწყობილობას; სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „საქმინხიელწყალთან“ და საქართველოს გეოლოგიის საწარმოო სამმართველოსთან ერთად განახორციელებენ სამუშაოებს მინერალური წყლის ჩამოსხმისას ხელოვნური ნახშირმჟავის ნაცვლად ბუნებრივი ნახშირმჟავის გამოყენებისათვის; შეიმუშავებენ და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს გადასცემენ ტექნოლოგიურ სქემას, თუ როგორ მიიღონ კომპლექსური ორეპარატი ალთაამილაზი. რომელიც პურფუნთუშეულის წარმოებაში გამოიყენება.

გახსნიან ციტრუსის მავნებელთა საწინააღმდეგო ახალი ეფექტიანი საშუალების საცდელ წარმოებას; დაამზადებენ და მიბაღეობა-მევენახეობასა და მეღვინეობაში გამოცდიან 2 ტონა კლინოპტილოლიტის ფვრილმარცვლოვან ფრაქციას. შეადგენენ საქართველოს ტერიტორიის ბინადარი გარეული ნადირის „წითელ წიგნს“, რომელსაც ამოწყდომა ემუქრება.

სასწავლებლების კოლექტივები უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობისა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა და მუშათა კადრების მომზადების შემდგომ სრულყოფას და განვითარებას სწავლების ხარისხის არსებითი გაუმჯობესების, მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საფუძველზე. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების. ტექნიკუმების მოსწავლეები და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები — 180 ათასზე მეტი კაცი 1978 წლის ზაფხულში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ობიექტების შენებლობაში. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს სოფლის სკოლებს.

კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ტურიზმისა და ექსკურსიების მუშაკები:

სრულყოფენ შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოებებისა და კულტურის დაწესებულებების საქმიანობას მშრომელთა იდეური, ზნეობრივი, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, ფართო პროპაგანდას გაუწევენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებებს, აამაღლებენ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ეფექტიანობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ დონეს. განუხრელად აამაღლებენ რესპუბლიკის მშრომელთა კულტურული მომსახურების ხარისხს, გააფართოებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კინოთეატრების ქსელს, გაზრდიან მოძრავი კინოდანადგარების რიცხვს.

გეგმაზომიერად განავითარებენ შრომითს კოლექტივებთან შემოქმედებითი ინტელიგენციის კავშირის გაფართოების საქმიანობას და საშეფო მუშაობას. ამ მიზნით გეგმის გადაჭარბებით მოაწყობენ სულ ცოტა 300 კონცერტს, განახორციელებენ 18 ზეგეგმითს თეატრალურ დადგმას და მაყურებლებს უჩვენებენ 284 სპექტაკლს. კინოსაგან შემოსავლის გეგმის შესრულებას უზრუნველყოფენ 28 დეკემბრისათვის, „ქართული ფილმის“ სტუდიის გეგმის შესრულებას — 20 დეკემბრისათვის.

ფართოდ გამოიყენებენ დამრიგებლობას, როგორც ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეურ-პროფესიული აღზრდის ფორმას.

კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას. უკეთ გამოიყენებენ საწოლების ფონდს, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში გახსნიან სურდოლოგიურ, სმენის საპროთეზო და ფონიატრიულ კაბინეტებს. „საქმედტექნიკის“ საწარმოებში გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას და მიაღწევენ ბრუნვის ხარჯების 1 პროცენტის ეკონომიას. გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს მშენებლობაზე კაპიტალურ დაბანდებათა წლიურ მოცულობას აითვისებენ 1 დეკემბრისათვის, გააუმჯობესებენ ახალი ობიექტების მშენებლობის, აგრეთვე იმ ობიექტების ხარისხს, რომლებსაც რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი სჭირდება.

პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს სისტემაში წლიური გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით შესრულდება 28 დეკემბრისათვის, სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესების შედეგად მიიღებენ 100 ათას მანეთ ზეგეგმითს დაგროვებას; ჯანმრთელობის კერების გამტარუნარიანობას 416 ათასამდე გაზრდიან, საოჯახო დასვენების ჯანმრთელობის კერების გამტარუნარიანობას — 2.960 კაცით, მოქმედ ჯანმრთელობის კერებში საწოლების ფონდს 480 საწოლით გაადიდებენ.

ინტურისტის სისტემაში ხუთწლედის სამი წლის დაღალებას სამეურნეო საქმიანობისაგან და შემოსავლის ნაწილში შეასრულებენ ვადამდე. 10 დეკემბრისათვის, სავალუტო შემოსულობათა ნაწილში — 1 დეკემბრისათვის. სამეურნეო საქმიანობისაგან შემოსავლის ნაწილში წლიურ გეგმას შეასრულებენ 23 დეკემბრისათვის. კიდევ უფრო აამაღლებენ საბჭოთა მოქალაქეებისა და უცხოელი ტურისტების მომსახურების კულტურასა და ხარისხს.

კისრულობენ რა გადიდებულ ვალდებულებებს, საქართველოს სსრ მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მშრომელებს.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმას გადაწყვეტილებებს, ხელმძღვანელობენ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით, მხურვალედ იწონებენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილს „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები ლენინური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს აღუთქვამენ, რომ მთელ ძალ-ღონეს, ენერგიასა და ცოდნას მოახმარენ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. მტკიცედ და შეუპოვრად განახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის გრანდიოზულ წინასწარდასახულობებს, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით, მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებითაც კი შეასრულონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები, აგრეთვე მეათე ხუთწლედის მესამე წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, 1978 წელს დამკვრელური შრომის წლად გადააქცევენ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚ ᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐ 1978 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველო აწყობენ საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო-თეორიულ კონფერენციას თემაზე:

„სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე“.

კონფერენცია გაიმართება 1978 წლის 2 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29).

დასაწყისი 14 გვერდზე.

გაეცნენ მოლდავეთის გამოცდილებას

მოლდავეთში სამ დღეს იმყოფებოდა საქართველოს კომპარტიის რაიკომების პირველი მდივნების დიდი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. გ. ვარძელაშვილი. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ მოლდავეთის გამოცდილებას, სადაც სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმატებით ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია.

მოლდავეთის სსრ კოლმეურნეობათა საბჭოში ქართველ ამხანაგებს გააცნეს საკოლმეურნეო-კოოპერაციული სექტორის მართვის ამ ორგანოს სტრუქტურის თავისებურებანი და საქმიანობის შედეგები, მუშაობა, რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს მექანიზაციის, მეცხოველეობის, მეღვინეობის, სასოფლო მშენებლობის დარგში კოოპერირების საფუძველზე წარმოების ინტენსიფიკაციისათვის. ამჟამად საკოლმეურნეო-კოოპერაციული სექტორი აწარმოებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამ მეოთხედს. კოლმეურნეობათა საბჭოს საქმიანობით ხუთწლიწადში მეურნეობათა მთლიანი შემოსავალი წინა ხუთწლეულთან შედარებით გაიზარდა 24,5 პროცენტით, ხოლო წმინდა შემოსავალი — 17 პროცენტით.

მომქმე საქართველოდან ჩამოსული სტუმრები ეწვივნენ მთელ რიგ სამეურნეოთაშორისო, აგრარულ-სამრეწველო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებს, კომპლექსებს. ისინი ესაუბრნენ რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეობათა რაიონული საბჭოების სპეციალისტებს. საქართველოს კომპარტიის რაიკომების პირველი მდივნები განსაკუთრებული ინტერესით ეცნობოდნენ ახალი გაერთიანებების შექმნის პრინციპებს, მათ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდას.

დელეგაციის წევრები კოტოვსკის საბჭოთა მეურნეობა-ქარხნების აგროსამრეწველო გაერთიანების მაგალითით დარწმუნდნენ, თუ რა ეფექტი მოაქვს მიწათმოქმედებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის შერწყმას, როგორ ჩქარდება შრომისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებით ქალაქისა და სოფლის დაახლოებას პროცესები. მეთაურ მეურნეობაში — საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა „ვიქტორიაში“ სტუმრები გაეცნენ, თუ როგორ ეძღვებიან სამრეწველო მეცენაზეობას, ღვინისა და ღვინომასალების წარმოებას.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში — „იალოვენში“ და „დნესტრში“ ქართველი მეგობრებს გააცნეს იმ ორგანიზაციული სტრუქტურის, ოპერატიულობანი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ერთ სისტემად გაერთიანდეს „კვლევა-წარმოების“ ციკლის სამუშაოთა მთელი ტექნოლოგიური ჯაჭვი. ლუბოსარისა და რიბნიცის რაიონებში ისინი გაეცნენ მეცხოველეობის საწარმოთა მუშაობას, საკვებით უზრუნველყოფის სისტემას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის გაერთიანებებს.

გზაზეთ „პრავდისა“ და „ილიჩის ხსოვნის“ საკოლმეურნეობათაშორისო ბაღებში ქართველი სტუმრები დარწმუნდნენ, თუ რაოდენ ეფექტიანია სამეურნეოთაშორისო კოოპერაცია მებაღეობაში.

1 თებერვალს საქართველოს დელეგაცია მიიღო მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. ბოდიულმა. იგი დიდხანს ესაუბრა სტუმრებს მუშაობაზე, რომელსაც მოლდავეთის პარტიული ორგანიზაცია ეწევა, რათა ხორცი შეასხას სკკპ აგრარულ პროგრამას, განახორციელოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მაგისტრალური გზის — კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის პროცესები, მისი ყველაზე ეფექტიანი ორგანიზაციული ფორმები — სამეურნეოთაშორისო კოოპერაცია და აგროსამრეწველო ინტეგრაცია, მეცნიერება — წარმოების სინთეზი.

საუბარში მონაწილეობა მიიღო მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ე. პ. კალენიჩმა.

იმავე დღეს სტუმრები თბილისში გამოემგზავრნენ.

რ. ზახაროვა,
საკადრის კორ.

მსოფლიოს ამბები

მოსკოვის დღეები ბერლინში

ბერლინი, 31 იანვარი. (საკდესი). მოსკოვისა და ბერლინის შრომელთა, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ამაღელვებელ მანიფესტაციად გადაიქცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის მატინგი, რომელიც დღეს გაიმართა ბერლინის რესპუბლიკის სასახლეში. ამ მოვლენით გაიხსნა მოსკოვის დღეები ბერლინში.

მიტინგში მონაწილეობდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და ხალხმწიფო ხელმძღვანელები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის დედაქალაქის წარგზავნილთ — მოსკოვის დელეგაციას, რომელსაც სათავეში უდგას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტის მდივანმა კ. ნაუმანმა. მოსკოვის დღეები ბერლინში, თქვა კ. ნაუმანმა, ახალ თავს გადაშლის ორი მოძმე დედაქალაქის მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში. ამ ურთიერთობის საფუძველია მარქსიზმ-ლენინიზმის მძლეთამძლე იდეები, ჩვენი ორი ხალხისა და სახელმწიფოს თანამეგობრობის უფრო მაღალი დონე, ახალი ჰორიზონტი რომ გადაუშალა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებამ, რომელსაც ხელი მოაწერეს ამხანაგებმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა და ერიხ ჰონეკერმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ვ. ვ. გრიშინმა. მან გულთბილი მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარული მიღებისა და გულთბილი სიტყვებისთვის.

სესია ჟენევაში

ჟენევა, 31 იანვარი. (საკდესი). ჟენევის ერთა სასახლეში დაიწყო განიარაღების კომიტეტის მორიგი სესია, რომელშიც 30 სახელმწიფოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კომიტეტი განიხილავს ვამალუბული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. სესიაზე ასახვას პოვებს წინადადებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა და რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ აქტუალური ამოცანების გადაწყვეტას. ამრიგად, წინადადებებით გათვალისწინებულია, რომ ყველა სახელმწიფომ ერთდროულად შეწყვიტოს ბირთვული იარაღის წარმოება.

ეთიოპია: რევოლუციის მონაპოვრების დასაცავად

ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლა

□

ადის-აბება, 31 იანვარი. (საკდესი). ეთიოპიის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი რევოლუციის მონაპოვრები და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. აფრიკის რქაზე სამხედრო კონფლიქტის ერთადერთი და საბოლოო გადაჭრის გზა და მშვიდობის გარანტია ამ რაიონში შეიძლება იყოს მხოლოდ სომალის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანა ეთიოპიის ტერიტორიიდან, განაცხადა ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ მენგისტუ ჰაილე მარიამმა.

თავის მიმართვაში ერისადმი მან აღნიშნა, რომ ეთიოპია განაგრძობს სამართლიან და კანონიერ თავდაცვითს ბრძოლას ქვეყნის ტერიტორიის გაწმენდისა და ამ ტერიტორიიდან სომალიელ აგრესორთა განდევნისათვის მანამდე, სანამ სომალი უპირობოდ არ გაიყვანს თავის ჯარებს ეთიოპიის ტერიტორიიდან. სომალის ჯარები, თქვა მან, ავიაციის, ტანკების და მძიმე არტილერიის დახმარებით 700 კილომეტრით შემოიჭრნენ ეთიოპიის ტერიტორიაზე აღმოსავლეთში და 300 კილომეტრით — ეთიოპიის სამხრეთ რაიონებში.

დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სომალის ხელმძღვანელებმა დასავლეთის სრული მხარდაჭერით გააჩაღეს სიცრუისა და ცილისწამების კამპანია რევოლუციური ეთიოპიის წინააღმდეგ. მისი მიზანია შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, გაადიდოს დასავლეთის დახმარება სომალიელი აგრესორებისადმი და ხარჯთაშორისო ხასიათი მიანიჭოს "შეიარაღებულ კონფლიქტს ორეიკის რქაზე. ამავამად, თქვა მან, არის იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ გაუმართლებელ აგრესიულ ომს ეთიოპიის ტერიტორიაზე ამბერიდან აწარმოებს არა მარტო სომალი, არამედ კიდევ უფრო მეტად სხვა ძალები.

დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების მერ შეიქმნავებული ეგვმების თანამად საუდის არაბეთი, ირანი და მთელი რიგი სხვა ქვეყნები ფინანსურ დახმარებას გაუწევენ სომალის აგრესიის გაფართოებისათვის.

„საბჭოთა კავშირმა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა, — განაგრძო მენგისტუ ჰაილე მარიამმა, — არათუ უარი თქვეს სომალის ხელმძღვანელთა ექსპანსიონისტური მისწრაფებებისადმი ხელშეწყობაზე, არამედ ამ საკითხში დაიკავეს პრინციპული პოზიცია — მათ ამჯარად განაცხადეს, რომ ოპოზიციამი უდგანან ამგვარ ავანტიურისტულ ძოლიტიკას".

დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მალე რევოლუციის შემდეგ ეთიოპიის მთავრობამ ეთიოპიისა და სომალის ხალხთა მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის წამოაყენა წინადადება ორივე სახელმწიფოს კონფედერაციის შექმნის შესახებ. მაგრამ სომალის ხელმძღვანელებმა. რომლებსაც აქვეზიდნენ დასავლეთის იმპერიალისტური წრეები, ეჭვსანსიისა და აგრესიის გზა აირჩიეს.

ეთიოპიის მთავრობისა და ხალხის სახელით დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა უძღვნა სოციალისტურ სახელმწიფოებსა და სხვა პროგრესულ ძალებს. ისინი უანგარო და ყოველმხრივ დახმარებას უწევენ ეთიოპიის მშრომელთა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ეროვნულ-დემოკრატიული ი რევოლუციის პროგრამის მიზნების მიღწევა — საზოგადოების აშენება, რასაც საფუძვლად დაიდება თანასწორობა, მშვიდობა და სოციალური სამართლიანობა.

ახლო აღმოსავლეთი

სამპარატულ მოლაპარაკებს განაგრძობენ

კაირო, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს კაიროში ჩამოვიდა ისრაელის თავდაცვის მინისტრი ვეიცმანი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ისრაელ-ეგვიპტის სამხედრო კომიტეტის ხხდომებში. კომიტეტის მუშობა შეწყდა მას შემდეგ, რაც ეგვიპტის პრეზიდენტმა სადათმა რიხიანად განაცხადა, რომ აღარ შეურიგდება ცალმხრივ დათმობებს ისრაელისადმი.

თვითონ ის ფაქტი კი, რომ კაიროში სამხედრო კომიტეტის სხდომები განახლდა, საწინააღმდეგოს მოწმობს. სადათისა და ბეგინის ფუჭი პაექრობის შემდეგ ისრაელმა არა თუ ხელი არ აიღო თავის მოთხოვნებზე, არამედ პირიქით, კიდევ უფრო ჯიუტად დაადგა დიქტატის პოზიციას, მაგრამ ეგვიპტის პრეზიდენტმა უკვე ისე ღრმად შეტოპა ისრაელთან სეპარატულ მოლაპარაკებაში და ისე მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ბედი შეერთებული შტატების პოლიტიკას, რომ საკმარისი იყო ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ოდნავი ზემოქმედება, და სადათმაც დაიგიწყა თავისი დაპირება.

გუშინ კაიროში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ა. ატერტონი, რომელიც ამჟამად სეპარატულ მოლაპარაკებაში შუამავლობს ისრაელსა და ეგვიპტეს. აქამდე იგი იერუსალიმში ისრაელის ლიდერებთან ერთად ამუშავებდა ორმხრივ „მშვიდობის დეკლარაციას", რომელმაც აქრიკის შეერთებული შტატების ჩანაფიქრით, ერთი მხრივ, უნდა დააკმაყოფილოს ტელ-ავივის ანექსიონისტური პრეტენზიები, და, მეორე მხრივ, — სადათს ოდნავ მაინც გაამართლებინოს თავისი ყბადაღებული „სამშვიდობო ინიციატივა".

ატერტონთან მოლაპარაკების შემდეგ ისრაელის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი არაბების მიმართ „საკმაოდ მოქნილ პოზიციას" ადგანან.

ტელ-ავივში კი „მოქნილი მიდგომა" თავისებურად ესმით: გუშინ იქ გამოაცხადეს, რომ მდინარე ეორდანის დასავლეთ ნაპირზე კიდევ სამი გასამხედროებული დაბა იქნება, საგულისხმოა, რომ ტელ-ავივმა ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე, რომელზეც პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ თითქოს ისრაელის მთავრობა „აღარ მოიწონებს ახალი დასახლებების შექმნას".

ნიკარაგუა

სომოსას ტერორი

სან-ხოსე, 31 იანვარი. (საკდესი). უკვე მესამე დღეა ნიკარაგუაში საგანგებო წესები მოქმედებს, **რომელიც დიქტატორმა სომოსამ გამოაცხადა უმაგალითო მასშტაბის საყოველთაო გაფიცვის ჩასახშობად.** გაფიცვაში მონაწილეობენ მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, სტუდენტები, წვრილი და საშუალო მეწარმეები. გაფიცულნი მოითხოვენ, რომ სომოსა გადადგეს პრეზიდენტისა და ეროვნული გვარდიის (პოლიციის) მთავარსარდლის პოსტიდან, ქვეყანაში დაიყარდეს მართვა-გამგეობის დემოკრატიული ფორმები.

იმის მიუხედავად, რომ ხელისუფალნი მოითხოვენ შეწყვეტს გაფიცვა, მას უერთდებიან მშრომელთა ახალ-ახალი ჯგუფები. გაფიცვა გამოაცხადეს მანაგუაში მოქმედი მსხვილი ნავთობსაწმენდი ქარხნის — ამერიკის „ექსონის" კომპანიის კუთვნილი ქარხნის ნუშაკებმა. დიქტატორის გადადგომას მოითხოვენ ოპოზიციის თვალსაჩინო მოღვაწეები, საეკლესიო წრეების წარმომადგენლები.

ნიკარაგუელები გადაჭრით იღაშქრებენ სომოსას საძულველი დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების სათავეში მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მხარდაჭერის მეოხებითაა. ქვეყანა ფაქტიურად ხელში ჩაუგდეს უცხოელებს, უმთავრესად ამერიკის მონოპოლიებს, რომლებიც ზღაპრულ მოგებას იღებენ მისი ეროვნული სიმდიდრის ძარცვის გზით.

როგორც მოწმენი აღნიშნავენ, საქმიანი ცხოვრება ნიკარაგუაში პრაქტიკულად ჩაკვდა.

გაისმის სროლა ქვეყნის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში. დამსჯელი რაზმები ეცემლს უშენენ მანიფესტანტებს, არბევენ მიტინგებს. არიან დახოცილნი და დაჭრილნი, ასობით კაცი დაპატიმრებულია.

ჯარისკაცებმა მშიდრო ალყაში მოაქციეს ნიკარაგუას ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტი ს ტერიტორია. ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები ქვემეხებს უმიზნებენ იქ მყოფ სტუდენტებს. შეიარაღებული პატრულები ქალაქებში აწყობენ მასობრივ ხბრეკას, დაწესდა მკაცრი კონტროლი ქვეყნის ძირითადი სატრანსპორტო ნაგისტრალებისადმი.

წმენდა გრძელდება

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის ხაზენტოები, რომლებიც ჩინეთის ადგილობრივ რადიოსადგურებს იმოწმებენ, იუწყებიან, რომ ჩინეთის კომპარტიის სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონის კომიტეტის პირველი მდივნის პოსტიდან, აგრეთვე სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარისა და სინძიანის ხამხედრო ოლქის პირველი პოლიტკომისრის პოსტებიდან გადააყენეს საიფუდინი, ეროვნებით უიგური.

ყველა თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, რომლებიც სინძიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში ეკავა ხაიფუდინს, მეთვალყურეთა აზრით, მას ჩამოართმევენ ან შეიძლება უკვე ჩამოართვეს კიდეც ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატისა და სრულიად ჩინეთის ხალხური წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტები. საიფუდინი ყველაზე მაღალი თანამდებობის მოღვაწე იყო ჩინეთის ხალხური რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობაში.

რეზო ამაზუკელი

საუბარი ვლადიმერ მაიაკოვსკისთან 1978 წელს

სანკტ-პეტერბურგში
მორღვევულ ფაშვებს
მოხელეები ითბობდნენ ოდეს,
ათოვდათ გაწვდილ ხელებზე ბავშვებს,
მავანნი თხზავდნენ
ამურულ ოდებს,
ფერმკრთალი მეფე
უცხოელ მარშლებს
ლანგრით უწვდიდა ღიმილს და ორდენს,
აქოშინებულ ამალით სავსე
მიაშურებდა
ჩოგბურთის კორტებს...
და ყაზარმები ისმენდნენ მარშებს
შპიცრუტენებში
გამოვლილ ფორტეს...
...პარაკლისს ხმობდნენ ზარები ქარში
როს გუმბათები
ყვავებმა მორთეს...

და იყო სავსე
სუნამოს სუნით,
ბურჟუაზიის ქონით და სუნით,
რესტორნები და სასახლეები...
გალეშილ ვაჭრებს
არყით და ლუდით,
ერეკებოდნენ დამფრთხალი ქუჩით
თავჩაქინდრული მეეტლეები...

...არად აგდებდა
ელჩების არშიყს
და ოფიცრების წკრიალა დეზებს,
და დედოფალი
სასახლის ბაღში
გრიშკა რასპუტინს ჰკოცნიდა ხელზე...
და ანაფორა
ღმერთის სახელით
ამწყურვალებდა ფავორიტ ქალებს...
სიასამურით შლილი მარხილი
სიკვდილთან ერთად
უცდიდა გარეთ!..

— ყიდიდნენ რუსეთს!
და უნამუსო
მაღალი ფრაზა ავსებდა ჭიქებს...
კუბო და ჯავრი,
წახრილი ჯვარი,
ემატებოდა საფლავის რიგებს...
და აწყდებოდა მშიერი ჯარი
კაიზერების გაშვერილ ხიშტებს,
და საცოდავად არწევდა ქარი
ატალახებულ
გზებსა და ხიდებს...

— რევოლუცია!
და აფართხალდა
ორთავიანი არწივის ლეში...
რევოლუცია!
სული ამბოხი
ყუმბარასავით ჩაბღუჯე ხელში!

თავგამოდებით და გახელებით
წითელ სიმღერად
ქუჩებს მოედე,
და წაუჭირე ყელში ხელები
გადამყიდველ და კეკლუც პოეტებს!

თუ უცხოეთში
ძაღლი და ღორი
შენი გინებით იყო გართული,
— როგორც სახეში ნათხლეში ტორი
გქონდა სტრიქონი ზეაღმართული!

და არასოდეს გქონია ხათრი
არცრა ამინდის,
არცარა ავდრის,
და პოეზიის ზეგარდმო მადლით
იცოდი ნაღდი სიმღერის ყადრი!..

მე დღესაც მამღვრევს
თვალების ნაბვა
ჯიგარგამოცლილ პოეტთა რიგის,
ძველ ყაისნაღით
ლექსების ლამბვა
და უსუსური წკრიალი ჭიქის...

ზოგი წუწუნებს
გაბზარულ ხმაზე,
ზოგს სევდიანი თენთავს ზმანება,
— მაგრამ სტრიქონი
ძარღვივით სავსე
დღევანდელ ტკივილს ეხმიანება!

შენი ნაწრთობი ფოლადი დღესაც
დამეტაკება გულზე ჯახანით,
საქართველო და
ბაღდადის ზეცა
გეძახის, გიხმობს დროით ახალით!

ქართული სიტყვა
გახსოვდა მუდამ,
თუ შეგბედავდნენ წრიპინს და ქილიკს,
— „მოყვარეს
პირში უძრახო უნდა
და მტრულად უნდა გაზარდო შვილი!"

ლუარსაბივით
ძილით და ჭამით,
ზოგი ერთობა ძველი არაკით,
— ოდეს წინ გვედგა
ლიპლიპა ჯამი
სავსე ტრაბახით და ლაპარაკით!

თუ ვინმე ენას
სამსალით ლესავს,
და მაძღარ სახით დგას გარიყული,
მალამოსავით სჭირდება დღესაც
შენი პანღური და ალიყური!

და შენი სულის
ყოველი ნერვი
ბრიალებს, როგორც დროშა რხეული,
— ანათებს,
იწვის,
წითელი ცეცხლით,
მზე — შენს ნეკნებში გამოხვეული!

„კომუნისტის" ფოტოექრანი

□ **ბერლინის** ელექტრონათურების ქარხანა „ნარვის" პროდუქცია, რომელსაც რესპუბლიკური ხარისხის ნიშანი მიენიჭა, მეტწილად უცხოეთში იგზავნება. ქარხნის უდიდესი დამკვეთია ხაბჭოთა კავშირი.

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებებისათვის „ნარვას" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო მიენიჭა.

სურათზე: (მარცხნივ): ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში.

აღნ-საკდესის ფოტო.

□ **ულან-ბატორზე** არცთუ დიდი ხნის წინათ წარმოდგენა ჰქონდათ როგორც მომთაბარეთა დიდ სოფელზე. ახლა მონღოლეთის დედაქალაქი თანამედროვე დიდი ქალაქების რიგში დგება.

სურათზე: ულან-ბატორის ახალ მიკრორაიონში. სასტუმრო „ბაიანგოლის" კორპუსები.

საკდესის ფოტო.

პოლიტიკური მიმომხილველის შენიშვნები

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ბელგრადის შეხვედრაზე მიმდინარეობს მეორე, დამამთავრებელი ეტაპი, რომელზეც უნდა მოამზადონ და მიიღონ შემაჯამებელი დოკუმენტი, შეთანხმდნენ მომავალი შეხვედრის ადგილსა და თარიღზე. როგორც ჩანს, ყოველივე ამას ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება, რაც გამოწვეულია ბელგრადის ფორუმის მიზნებისა და ამოცანებისადმი შეხვედრის მონაწილეთა სხვადასხვაგვარი მიდგომით.

რა თქმა უნდა, ყველანი ზუსტად რომ იცავდნენ შეხვედრის დამტკიცებულ დღის წესრიგსა და ითვალისწინებდნენ მის ამოცანებს, სამი თვე სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ ჯერ კიდევ ახალ წლამდე.

მაგრამ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნების ძირითად ყურადღებას უთმობდნენ სრულიად ევროპის თანამშრომლობის დადებითს გამოცდილებას და შემდგომ მეცადინეობას ამ მიმართულებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ზოგმა მისმა ნატოელმა პარტნიორმა მთავარი აქცენტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ეგრეთ წოდებულ „მესამე კალათიდან" ამოღებული რაღაც თამასუქების წარდგენაზე გადაიტანეს, რასაც, ცხადია, მეტი დრო და ენერგია დასჭირდა.

ჩვენდამი ანტიპათიურად განწყობილი ბურჟუაზიული მეთვალყურეებიც კი აღნიშნავენ, რომ გარკვეული თვალსაზრისით დასავლეთისათვის უფრო იოლია დალოგი საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, ვიდრე ამ უკანასკნელთათვის — თავიანთ დასავლელ პარტნიორებთან. ჯერ ერთი, იმიტომ რომ საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკური გეზი არ იცვლება შინაპოლიტიკური განწყობილების გავლენით. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ლასავლეთში; და მეორეც, ეგი განმაკვალევლია იმ მისწრაფებით, რომ განამტკიცოს და გაწვითაროს ევროპის თანამშრომლობის დადებითი მომენტები. მიუხედავად იმისა, რომ ჰელსინკიდან ბელგრადამდე განვლილ პერიოდში თათბირის მონაწილე დასავლეთის ზოგი ქვეყანა ნეგატიურ, ხოლო ზოგჯერ აშკარა პროვოკაციულ მოქმედებას მიმართავდა, საბჭოთა კავშირს, რომელიც ასეთ აქციებს თავის დროზე საკადრის პასუხს სცემდა ხოლმე, ბელგრადში სულაც არ გაუმახვილებია ყურადღება ამაზე. სწორედ საბჭოთა კავშირის თავშეკავებამ და კონსტრუქციულმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ შეხვედრა არ გადაიქცა ანგარიშსწორების ასპარეზად, რასაც დასავლეთის ზოგი დელეგაცია იმედოვნებდა. მისი წყალობით შესაძლებელი გახდა აგრეთვე ნდობისა და თანამშრომლობის იმ გარკვეული მინიმუმის შენარჩუნება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია დაძაბულობის შენელება.

საბოლოო აქტი ერთმანეთისთვის სიყვარულის ახსნა როდია. ეს არის სუვერენულ სახელმწიფოთა ერთობლივი განცხადება იმ პრინციპების თაობაზე, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად. იგი ყველა ევროპელის საერთო კუთვნილებაა. აი რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს პოლიტიკური თანამშრომლობის, სამხედრო დაძაბულობის შენელების, თანასწორუფლებიანი ვაჭრობის საკითხებზე, ე. ი. იმაზე, რაც აახლოებს ადამიანებს, და არა იმაზე, რაც მათ თიშავს. აი რატომ გამოდის იგი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის დესტრუქციული ცდების წინააღმდეგ. პოლიტიკური გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ სოციალისტურ ქვეყნებს აცბუნებთ ადამიანის უფლებათა საკითხი. ვაშინგტონის გამოხდომების პასუხად მათ შეეძლოთ არაერთი დამამტკიცებელი საბუთის მოტანა ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების შესახებ. მაგრამ ეს სულაც არ შეცვლიდა იქ არსებული ვითარებას და გამოიწვევდა მხოლოდ უნაყოფო დავასა და ურთიერთპრეტენზიებს.

ჰელსინკის მთავარი ფენომენი, რომელიც უკვე ისტორიაში შევიდა, არის კონსენსუსის წესი, ე. ი. საერთო შეთანხმების წესი. მხოლოდ ეს პრინციპია სიცოცხლისუნარიანი თანაბარუფლებიან სუვერენთა თანამშრომლობის შეთანხმებული ფორმების ძიების დროს.

მაშ რატომ არის, რომ ბელგრადის შეხვედრის პირველი ეტაპის მრავალი კვირის მანძილზე ისინი არ ანებებდნენ თავს სოციალისტური ქვეყნებისათვის ყურით მოთრეული პრეტენზიების წაყენების ცდებს და ამავე დროს უარყოფდნენ მათ მიერ საკუთარი „ქორების" თვალში საკმაოდ მკცრად რომ გამოყურებოდნენ.

ასეთი პრაქტიკა მანკიერია, ვინაიდან, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, „ქორების" გულს მაინც ვერ მოიგებ. უფრო მეტიც, ასეთი მიდგომა მადას უხსნის და აქეზებს ძალებს, რომლებიც ნდობისა და თანამშრომლობის წინააღმდეგ გამოდიან.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი თანამიმდევრულად იცავს ჰელსინკის საბოლოო აქტის ფორმასა და შინაარსს და კონსტრუქციულად უდგება ბელგრადში განსახილველ საკითხებს. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა შეხვედრის დამამთავრებელ ეტაპზე. პირველსავე პლენარულ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ი. ეორორცოვმა შეიტანა შემაჯამებელი დოკუმენტის პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ბელგრადის შეხვედრის „კონსტრუქციულ, დადებითს დამთავრებას. ასეთი მიდგომა შეესაბამება მეტი წილი ქვეყნების, მათ შორის არა მარტო სოციალისტური, ნეიტრალური და მოუმხრობელი, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნების პოზიციას, რომლებსაც ესმით, თუ რა საშიშროებას შეიცავს საბოლოო აქტის ნაწილებად დაშლა და ცალმხრივი სურვილების ნუსხით მისი შეცვლა. ევროპის კონტინენტზე დაძაბულობის შენელების და თანამშრომლობის ინტერესებს შეესაბამება შემაჯამებელი დოკუმენტის შემუშავება საბოლოო აქტის სულისკვეთებით.

ახლა, ალბათ, ვერც ერთი პასუხისმგებელი პოლიტიკური ხელმძღვანელი ვერ გაბედავს მოხსნას თავისი „ვაგონი ევროპის ექსპრესს — „ჰელსინკ-ბელგრადი და ა. შ." — ეს გზაზე მარტოდმარტო დარჩენის მომასწავებელი იქნებოდა. მაგრამ რამდენადაც ყოველ კუპეში არის მუხრუჭი. ზოგი მას მხოლოდ იმისათვის იყენებს, რომ დაამტკიცოს, მოძრაობის სიჩქარეზე შემიძლია გავლენა მოვახდინო. მაგრამ ყოველთვის, როცა ისინი მუხრუჭის სახელურს ავლებენ ხელს, დიდ პასუხისმგებლობას კისრულობენ იმათი ბედისათვის, ვინც მატარებელში იმყოფება. განა მატარებელში იმისთვის არ სხდებიან, რომ წინ იმოძრაონ?

ვლ. ლომეიკო.
(ახალი ამბების სააგენტო)

ბელგრადი:

ვინ აფერხებს წინსვლას

ფოთა ერთობლივი განცხადება იმ პრინციპების თაობაზე, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ევროპაში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად. იგი ყველა ევროპელის საერთო კუთვნილებაა. აი რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს პოლიტიკური თანამშრომლობის, სამხედრო დაძაბულობის შენელების, თანასწორუფლებიანი ვაჭრობის საკითხებზე, ე. ი. იმაზე, რაც აახლოებს ადამიანებს, და არა იმაზე, რაც მათ თიშავს. აი რატომ გამოდის იგი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის დესტრუქციული ცდების წინააღმდეგ. პოლიტიკური გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ სოციალისტურ ქვეყნებს აცბუნებთ ადამიანის უფლებათა საკითხი. ვაშინგტონის გამოხდომების პასუხად მათ შეეძლოთ არაერთი დამამტკიცებელი საბუთის მოტანა ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევების შესახებ. მაგრამ ეს სულაც არ შეცვლიდა იქ არსებულ ვითარებას და გამოიწვევდა მხოლოდ უნაყოფო დავასა და ურთიერთპრეტენზიებს.

ჰელსინკის მთავარი ფენომენი, რომელიც უკვე ისტორიაში შევიდა, არის კონსენსუსის წესი, ე. ი. საერთო შეთანხმების წესი. მხოლოდ ეს პრინციპია სიცოცხლისუნარიანი თანაბარუფლებიან სუვერენთა თანამშრომლობის შეთანხმებული ფორმების ძიების დროს.

მაშ რატომ არის, რომ ბელგრადის შეხვედრის პირველი ეტაპის მრავალი კვირის მანძილზე ისინი არ ანებებდნენ თავს სოციალისტური ქვეყნებისათვის ყურით მოთრეული პრეტენზიების წაყენების ცდებს და ამავე დროს უარყოფდნენ მათ მიერ

ეკონომიკური

ყოველი ეჭრიდან

□

ნეონაციზტები გააქტიურდნენ

● **ბონი.** გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქმიანობა გააქტიურეს ნეონაცისტურმა დაჯგუფებებმა, განსაკუთრებით კი იმ ჯგუფებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა. ერთი მათგანი ჰამბურგში გაჩნდა „ეროვნულ სოციალისტთა მოქმედების ფრონტის" სახელწოდებით. მას სათავეში უდგას ბუნდესვერის ყოფილი ლეიტენანტი მ. კიუენენი. ამ დაჯგუფებას განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ჰამბურგის ლანდტაგის არჩევნებში.

კონფერენცია ალჟირში

● **ალჟირი.** ალჟირის დედაქალაქში მუშაობას შეუდგა იმ არაბული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია, რომლებიც ეგვიპტის სადათისა და ისრაელის სეპარატული მოლაპარაკების წინააღმდეგ ილაშქრებენ.

კონფერენციის ძირითადი ამოცანაა მოამზადოს ამ სახელმწიფოებისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის უმაღლესი დონის თათბირი.

შეიქმნა სახალხო ფრონტი

● **ლიმა.** პერუს უდიდესმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ — მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციამ და მთელმა რიგმა სხვა პროგრესულმა ორგანიზაციებმა შექმნეს მემარცხენე ძალების სახალხო ფრონტი. იგი მონაწილეობას ნიღებს ა. წ. ივნისისათვის დანიშნულ დამფუძნებელი ასამბლეის არჩევნებში, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ახალი კონსტიტუცია.

ვოლგოგრადი. სურათებზე: ზემოთ — მამაის ყორღანზე აღმართული ძეგლ-ანსამბლი; მარჯვნივ — ლენინის პროსპექტი. აქ გადიოდა ფრონტის ხაზი.

ი. ცქვიტინიძის და ნ. სუროვცევის ფოტო.

სტალინგრადის ბრძოლის 35-ე წლისთავი

მითები და სინამდვილე

35 წლის წინათ, 1943 წლის 2 თებერვალს, საბჭოთა არმიის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა ბრძოლა სტალინგრადის მასადგომებთან. ჰიტლერულმა ჯარებმა დაკარგეს მილიონ-ნახევარზე მეტი კაცი, 3000 ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 12 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცანი, 3000-ზე თვითმფრინავი და დიდძალი სხვა იარაღი. ამან უდიდესი წვლილი შეიტანა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის ძირეულ გარდატეხაში.

მომდევნო საუკუნეებისათვის ამ ბრძოლის გადამწყვეტ მნიშვნელობას აღიარებდნენ დიდი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესის ორგანოები. მაგრამ ომისშემდგომ პერიოდში ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ „დაიღუნა“ თავის დროზე გამოთქმული ობიექტური შეფასებანი. მათ მაგივრად ფართოდ გავრცელდა სხვადასხვა ფალსიფიკატორული ვერსიები, რომლებიც ამახინჯებდა სტალინგრადის ბრძოლის როლს.

ამჟამად გამოცემულ მრავალ ნაშრომში ბურჟუაზიული იდეოლოგები და ისტორიკოსები ამახინჯებენ და აყალბებენ ფაქტებს 35 წლის წინათ დონსა და ვოლგას შორის მიმდინარე ომების გაშუქებაში. სხვადასხვაგვარ ვერსიებში მკვეთრად შეინიშნება სამი ძირითადი მიმართულება.

პირველი — ეს არის მისწრაფება ვოლგის ბრძოლა გაუთანაბრონ მეორე მსოფლიო ომის მეორეხარისხოვან ოპერაციებს და წარმოადგინონ იგი არა უდიდეს სამხედრო პოლიტიკურ მოვლენად, არამედ მხოლოდ ერთ-ერთ ოპერაციად.

მაგრამ მივმართოთ ფაქტებს. სტალინგრადის ბრძოლაში ფაშისტური გერმანიის მხრივ მოქმედება ჯარების ულმაძღარი დაჯგუფება, რომელშიც შედიოდა 50 დივიზია, ხოლო ელ-ალმეინთან (სწორედ ამ ოპერაციასთან ავლებენ ყველაზე უფრო ხშირად ანალოგიას) — გერმანიისა და იტალიის 12 დივიზია და ერთი ბრიგადა. ვოლგაზე ბრძოლის ცალკეულ ეტაპებზე მოქმედებდა 2 მილიონამდე კაცი, ელ-ალმეინთან კი ბრძოლის წინ ჯარების საერთო რიცხვი 310 ათასს შეადგენდა. სტალინგრადთან ალყაში მოვაქციეთ და მოვსპეთ ტრის 330-ათასიანი დაჯგუფება, ხოლო ელ-ალმეინთან დახოცეს, დაჭრეს და ტყვედ წაასხეს მოწინააღმდეგის 55 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სტალინგრადთან გამარჯვების შედეგად საერთაშორისო ავანსცენები მოხდა საერთაშორისო ვითარებაში. საბოლოოდ ჩაიშალა სსრ კავშირზე იაპონიის და თურქეთის თავდასხმის გეგმები. ჯერმანტის დამარცხებამ მოაჟეა ფაშიზმის წინააღმდეგ სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი მძლავრი აღმავლობა და ა. შ.

ამრიგად, სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული შედეგებით, მონაწილე ჯარების რაოდენობითა და სივრცითი გაჭანებით, ფიცხელი შეტაკებებით ვოლგის ბრძოლა ბევრად აღემატება აფრიკაში 1942 წლის ბრძოლას.

ფალსიფიკაციის მეორე მიმართულებაა ცდები — დამაონ სტალინგრადთან გამარჯვების ჭეშმარიტი მიზეზები: საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი, საბჭოთა სარდლობისა და მხედართმთავრების სამხედრო ხელოვნების მაღალი დონე, საბჭოთა მეომრების საბრძოლო ოსტატობა. ბურჟუაზიული ისტორიკოსები ისწრაფვიან ეს მთავარი ფაქტორები შეცვალონ მეორეხარისხოვანი, შემთხვევითი ფაქტორების ერთობლიობით.

იმ დღეების ამბები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ბრძოლა ვოლგისა და დონის შუამდინარეთში, არსებითად, მეომარი სახელმწიფოების — სოციალისტური და ფაშისტური სახელმწიფოების ძლიერების გამოცდად გადაიქცა. სტალინგრადის ბრძოლის შედეგი დამოკიდებული იყო არა მარტო იარაღის რაოდენობასა და ხარისხზე, მატერიალური ფაქტორების თანაფარდობაზე, არამედ იდეურ მრწამსზე, რომელიც განსაზღვრავდა ადამიანთა ქცევასა და მოქმედებას.

საბჭოთა მეომრებს სტალინგრადში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდათ. მათი დევიზი იყო: „ვოლგის იქით უკანდასახევი გზა არ გვაქვს!“ ცალკეულ სახლებს რომ იცავდნენ, ისინი მეტ ჰიტლერელ სპობდნენ, ვიდრე გერმანელი ფაშისტები ევროპის დიდი ქალაქების აღებისას კარგავდნენ.

აქ, სტალინგრადთან, საბჭოთა სარდლობამ გადაწყვიტა ქალაქის დამცველთა გმირობაზე დაყრდნობით მძლავრი ლაბიარი ჩაეცა ტრის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და ყველაზე აქტიური დაჯგუფებისათვის. ჰიტლერელებმა ვერ გაამეღავნეს საბჭოთა ჯარების მომზადება კონტრშეტევისათვის, ჯეროვნად ვერ გაითვალისწინეს საბჭოთა ჯარების დარტყმის სიძლიერე, გადაჭარბებით შეაფასეს თავიანთი შესაძლებლობანი ალყაშემორტყმული დაჯგუფებისათვის დახმარების გასაწევად. ჯერმანტის სარდლობას, ხარვეზები და შეცდომები ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ ხომ ასე ხდება ხოლმე ნებისმიერი ბრძოლის დროს — ერთ-ერთი მხარე უფრო ზუსტად და აწყობილად მოქმედებს და ამის წყალობით წარმატებას აღწევს.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ჯარებს ეოცხალი ძალისა და ტექნიკის რიცხობრივი უპირატესობა ბრაქტიკულად არ ჰქონია. საბჭოთა არმიის კონტრშეტევის დაწყებისას აქ იყო 1103 ათასი კაცი, 15501 ქვემეხი და ნაღმსატყორცანი, 1463 ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 1350 საბრძოლო თვითმფრინავი. ჯერმანტის ჯარების განკარგულებაში იყო: 1011,5 ათასი კაცი, 10290 ქვემეხი და ნაღმსატყორცანი, 675 ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 1216 საბრძოლო თვითმფრინავი. უპირატესობა, როგორც ხედავთ, არც ისე მნიშვნელოვანი იყო, რომელიც მიღებულია შეტევისათვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო სპეციალისტების შეხედულებებით. სხვათა შორის, ელ-ალმეინთან მოწყობილ ოპერაციაში ინგლისელებს თითქმის სამჯერ მეტი უპირატესობა ჰქონდათ პირადი შემადგენლობის რიცხვით. სხვა საქმეა, რომ საბჭოთა სარდლობა მთავარი დარტყმის მიმართულებებსა და გარღვევის ადგილებზე ქმნიდა ძალებისა და საშუალებების მნიშვნელოვან უპირატესობას, მაგრამ განა ეს არ მოწმობს სამხედრო ხელოვნების მაღალ დონეს? ისტორიის ხომ არ ახსოვს თითქმის თანაბარი ძალების პირობებში ესოდენ დიდი დაჯგუფების ალყაში მოქცევის მაგალითები. საბჭოთა სამხედრო ხელოვნების უდავო უპირატესობა იძულებული გახდა ეღიარებინა სტალინგრადში დაჯგუფებული ვერმახტის მე-6 არმიის სარდალს თეოდორ შაალ პაულუსსაც. „სტალინგრადის ბრძოლის კარგად გაგაზრებული გეგმა, — აღნიშნავდა იგი, — რომელიც საბჭოთა უმაღლესმა სარდლობამ შეიმუშავა, საათის მექანიზმის სიზუსტით განხორციელდა და მას ძირფესვიანი გარდატეხა მოჰყვა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში“.

სტალინგრადის ბრძოლის ისტორიის დამახინჯებაში თალსიფიკატორთა მესამე ფართოდ გავრცელებული თეზისია იმის მტკიცება თითქოს სსრ კავშირი თავის გამარჯვებას ბევრად უნდა უმადლოდეს მოკავშირეთა დახმარებას ტექნიკითა და იარაღით. ამასთან ინგლის-ამერიკის მიწოდებებს არათუ განზრახ აზვიადებენ, არამედ ლმის ის გადამწყვეტ ფაქტორადაც კი ასაღებენ, რომელმაც საშუალება მისცა საბჭოთა ჯარებს გამარჯვება მოეპოვებინათ დონისა და ვოლგის შუამდინარეთში.

საბჭოთა ადამიანებს სულაც არ სურთ დაკნინონ იმ დახმარების მნიშვნელობა, რომელსაც ანტიჰიტლერული კოალიციის წევრები უწევდნენ მათ. ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ინგლისიდან მიღებულმა საბრძოლო ტექნიკამ და იარაღმა საბჭოთა კავშირს გარკვეული დახმარება გაუწია, და ამას მადლიერებით იგონებენ საბჭოთა ადამიანები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროა ანგარიში გაეწიოს რეალობას...

ფაქტები სრულიადაც არ მეტყველებს ფალსიფიკატორთა სასარგებლოდ. 1942 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირში 3023 ტანკი და 2505 თვითმფრინავი გამოგზავნა. აქედან 12 პროცენტს არ მოუღწევია სსრ კავშირამდე გემების დაღუპვის გამო. ამავე დროს საბჭოთა მრეწველობამ გამოუშვა 24446 ტანკი და 25436 თვითმფრინავი. ამის შედეგად 1943 წლის 1 იანვრისათვის, როცა სტალინგრადთან გაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, მოქმედ არმიაში იყო 11946 საბჭოთა და 1230 ამერიკული და ინგლისური ტანკი.

ვოლგისპირა ბრძოლაში სსრ კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ უნარი შესწევთ არათუ გაანადგურონ ჰიტლერელთა ურდოები საკუთარ მიწა-წყალზე, არამედ გათავისუფლონ კიდეც ევროპის ხალხები ფაშიზმისაგან. და ეს მისია მათ პირნათლად შეასრულეს.

ნ. კომაროვი,

პოლკოვნიკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

(აპნი)

გესო ჟღენტის ხსოვნის უკვდავსაყოფად

სახელოვანი გზა განვლო ლიტერატურაში კრიტიკოსმა და გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ ბესო ჟღენტმა. იგი ქართული საბჭოთა კრიტიკული აზრის საწყისებთან იდგა და ბევრი რამ გააკეთა მისი განვითარებისათვის. კრიტიკოსის კალამს ეკუთვნის ნაშრომები, რომლებშიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან გადაჭრილია ქართული საბჭოთა ლიტერატურის აქტუალური საკითხები. ბესო ჟღენტი ხანგარ საუკუნეზე მეტ ხანს ეშსახურა მშობლიურ ლიტერატურას, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში, საბჭოთა ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურათა დაახლოებაში.

საქართველოს საზოგადოებრიობა პატივისცემის გრძნობით იხსენებს კრიტიკოსს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მშობლიური ხალხის უანგარო სამსახურის მაგალითია.

ბესო ჟღენტის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა: ბესო ჟღენტის სახელი მიენიჭოს ქალაქ ჭიათურის ზონის ხოფელ ქვაციხის სკოლას, თბილისში ფურცელაძის ქუჩა № 12 სახლზე, სადაც ცხოვრობდა ბესო ჟღენტი, გაკეთდება მემორიალური დაფა, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭება მისი სახელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დაწესდება ბესო ჟღენტის სახელობის ერთი სტიპენდია.

კრიტიკოსის საფლავზე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაიდგმება მწერლის ბიუსტი.

გადაწყდა გამოიცეს თვალსაჩინო კრიტიკოსის რჩეული ნაწარმოებები. (საქინფორმი).

ჟურნალის ახალი ნომერი

„საბჭოთა ხელოვნება“ № 1

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ პირველი ნომერი. ჟურნალი იხსნება სარედაქციო წერილით „ისტორიის, კულტურის, ბუნების ძეგლებს საყოველთაო ყურადღება“. ქართველ მხატვართა რესპუბლიკური გამოფენიდან, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა, ჟურნალი მკითხველებს აცნობს რამდენიმე რეპროდუქციას.

ქუთაისის სოსპერო თეატრის სცენაზე ახალი ოპერის „დარიასპანის გასაჭირის“ დადგმის თაობაზე ჟურნალი გვთავაზობს მანანა ახმეტელის წერილს. ქართული საბჭოთა არქიტექტურის განვითარების გზებზე გვესაუბრება თ. კვიტკელია, ხოლო ზ. კაკაბაძე გაანიხილავს თანამედროვე დასავლური ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებს. რუსეთ-საქართველოს XVII საუკუნის II ნახევრის ურთიერთობის ისტორიის ერთ მომენტს ეხება გ. შარაძის წერილი „არქეოგრაფიული ეტიუდები“. „გეოგრაფიკოსის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ოცი წელი“ — ასეთი სათაური აქვს წერილს, რომლის ავტორია ა. ზაქარაია. მხატვარ გ. კასრაძის შემოქმედებაზე გვესაუბრება ე. შავგულიძე, ხოლო პოლონელ მხატვრის ზიგმუნტ ვალიშევსკაზე — გ. ბუაჩიძე. ზ. ჭარხალაშვილის წერილის თემაა ბერტოლტ ბრეტტი და ერვინ პისკატორის ურთიერთობა.

ჟურნალში დაბეჭდილია ე. მაღრაძის წერილი, რომელიც ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო კეცხოველის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება.

აღნიშნული მასალების გარდა ჟურნალი ბევრ საინტერესო წერილს სთავაზობს მკითხველს თეატრის, მხატვრობის, არქიტექტურისა და ხელოვნების სხვა დარგების საკითხებზე.

ემინდი

ზამთარი იწურება

თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა, — ამბობს ხალხური ანდაზა, და ძართლაც, თებერვლის მორიანება ზამთრის დასასრულს გვაუწყებს.

როგორი ამინდია მოსალოდნელი წლევანდელ თებერვალში?

ჰაერის საშუალო-თვიური ტემპერატურა მოსალოდნელია მრავალწლიურ ნორმაზე მაღალი.

დასავლეთ საქართველოში პირველი და მესამე დეკადის ცალკეულ დღეებში მოსალოდნელია ბარში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

თ ვის დანარჩენ დროს ბარში ღამით 3-8, დღისით 10-15 გრადუსი სითბო. მთაში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 6-11 გრადუსი სითბო.

ნალექები, მთაში ალაგ-ალაგ ნისლი, მოსალოდნელია უმეტესად პირველ და მესამე დეკადაში.

აღმოსავლეთ საქართველოში. ჰაერის ტემპერატურა პირველი და მესამე დეკადის ცალკეულ დღეებში მოსალოდნელია ბარში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით ნული — 5 გრადუსი სითბო, მთაში — ღამით 8-13 გრადუსი ყინვა, დღისით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო. თვის დანარჩენ დროს ბარში — ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო. მთაში — ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

ნალექების თვიური ჯამი უმეტეს რაიონებში იქნება მრავალწლიურ ნორმაზე მეტი, ალაგ-ალაგ ნორმის ფარგლებში.

ნალექები, ზოგან ნისლი, უფრო მეტად მოსალოდნელია თვის შუა ნაწილსა და მესამე დეკადაში, მთაში ასევე პირველ დეკადაში.

ქ. ჭელიძე,

თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ტელევიზია

2 თებერვალი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კუბაჩური ქორწილი“ (ფერადი), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — უმცროსკლასელთათვის — რუსული ენა, 18.20 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 18.40 — მოსწავლეთათვის „გზა მშენიერებისაკენ“, 19.15 — „მოლიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მოსკოვიდან), 19.45 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცაბუნია“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ევროპის პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში (სტრასბურგიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „ცირკის მოყვარულთათვის“ (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 18.30 — განცხადებები, 18.35 — კინონარკვევი „ელექტრობა ჩვენს ყოფაში“, 19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ა. პ. ჩეხოვი, 19.40 — საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავისათვის — დოკუმენტური ფილმი „ვოლგიდან დნეპრამდე“, 20.40 — მხატვრული ფილმი „აუ-ჯ!“ (ფერადი).

რადიო

3 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 08.00 — „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ნ. გიგაური. სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05—ი. ბუცკო. კანტატა „საქორწილო სიმღერები“, 11.40 — „გზა მაღალი მიზნისაკენ“, 12.15 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 12.30 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.35 — კონცერტი, 13.30 — „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.45 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.50 — მოსწავლეთათვის. „გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 14.00 — კონცერტი-სუბარი „ანტონიო ვივალდი“, 15.00 — „მეგობართა ხმები“. გადმოცემა სოციალისტური ქვეყნებიდან, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — ჯ. კეტაყმაძის სიმებიანი კვარტეტი, 17.40 — მოსწავლეთათვის. „ოცი წუთი მეცნიერთა ლაბორატორიებში, 18.10 — „ეკრანის მეოდიები“, 18.45 — ოსური სიმღერები, 19.00 — „ორი საწარმო — ორი შედეგი“, 19.15 — შ. ჯაფიაფარაშვილი. სიუიტის „ძველი თბილისის სურათების“ ნაწყვეტები, 20.30 — სიმღერები დები იშხნელების შესრულებით, 20.45 — „რეკონსტრუქცია და ავტომატიზაცია — მთავარი მიმართულება“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „ახალი წიგნები“, 22.00 — ქართული მუსუჟი მუსიკა, 23.30 — მღერის პ. დომინგო.

თეატრი

2 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მე, ბეგია, ილიკო და ილარიონი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ოთეთი ბურჯი; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეზობელი კარისაკენ; მინიატურების სახელმწიფო — ნაძრები (განახლებული დადგმა).

კომუნისტი

ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხალხთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 07662 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

სარჩევი

- ინფარქტი — ბბრაქიანი თვე
- სამი ქულის უპირატესობით
- ევროპაში უძლიერესი
- მეგობგრობის რგოლები

იანვრის ეჭო

სეზონი მომავალზე ფიქრით იწყება

ახალი სპორტული სეზონის პირველი თვე ტრადიციულად მდიდარია საერთაშორისო ტურნირებითა და ჩემპიონატებით.

ორიოდე დღის წინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრების შესახებ ბევრი რამ დაიწერა პრესაში. მის შედეგებს, რა თქმა უნდა, დეტალურად განიხილავენ სპეციალისტები და საჭირო დასკვნებსაც გამოიტანენ. ჩვენ კი თბილისის ტურნირი გვინდა საბჭოთა კავშირის ნაკრების პოზიციიდან შევაფასოთ. მით უმეტეს, რომ მის მთავარ მწვრთნელს ი. შაბმურადოვს ბევრი საფიქრებელი გაუჩინა ტურნირის შედეგებმა.

სამაგალითოდ ქვემძიმე წონაც გმარა. რამდენიმე ხნის წინ ამ წონაში უდავო ფავორიტად ითვლებოდა გრუზნელი მსოფლიო ჩემპიონი ა. ბისულთანოვი. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენმა თანამემამულემ ლ. თედიაშვილმა ერთხელ კიდევ გადაწყვიტა წონის შეცვლა და მოსინჯა ძალები იქ, სადაც თითქოს ყველაფერი ნათელი იყო: ბისულთანოვს ისედაც ჰყავდა ორი „უხერხული“ მეტოქე ი. იარიგინისა და ი. მაჭუს სახით. მესამე ტატულოვანი კანდიდატის მოსვლამ კიდევ უფრო გაამაფრა მდგომარეობა ლიდერთა შორის.

და აი... თუმცა სჯობს სიტყვა გადავცეთ ნაკრების უფროსს მწვრთნელს ი. შაბმურადოვს: „ლევან თედიაშვილს კარგად ვიცნობ, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, არ მეგონა, თუ იგი თავის თავსაც გადააჭარბებდა. ის რაც ლევანმა ამ ტურნირში მოიმოქმედა, ნამდვილი გმირობა იყო“. მწვრთნელის სიტყვებს ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ მთავარ კანდიდატთა შორის მან პირველმა მიიღო ნაკრებში გასასვლელი ქუდა.

ი. შაბმურადოვი საკმაოდ მაღალი წარმოდგენისაა თბილისის ტურნირის სხვა ჩემპიონებზეც, თუმცა, ამბობს, რომ ნაკრები გუნდი საბოლოო სახეს საკავშირო პრეზეზეობის შემდეგ მიიღებს. მერე კი დაიწყება სეზონის მთავარი შეჯიბრებები — მსოფლიოს თასი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები.

კვლავ ყურადღების ცენტრშია კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი, სადაც რვა უძლიერეს გუნდს შორის ბრძოლას განაგრძობს თბილისს „დინამოც“. მეორე ეტაპის პირველმა მატჩებმა ცხადყო, რომ თითქმის ყველა გუნდში საგრძნობლად გაიზარდა შედეგიანობა. გადასვდეთ ანგარიშებს: რიგის ვეფი ტალინის „კალევს“ ამარცხებს 120:112, ხოლო მოსკოვის „დინამო“ ვეფს — 152:126. ასეთი რაც, ჩვენი კალათბურთის ისტორიას არ ახსოვს, ისიც უძლიერესთა ნახევარფინალურ ტურნირში.

სსრ კავშირის კალათბურთელთა მთავარ გუნდს წლეულს ოვიგე ამოცანა აქვს გადასაწყვეტი, რაც მოჭიდავეთა ნაკრებს — მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლა (ოქტომბრის დასაწყისში მანილაში გაიმართება). ჩვენი გუნდის ამასწინანდელი ამერიკული ტურნეიც სწორედ ამას ისახავდა მიზნად — ახალგაზრდების გამოცდას. საბჭოთა კალათბურთელებმა ოთხი შეხვედრა მოიგეს და დამეს მხოლოდ ერთი — კანზას სიტის უნივერსიტეტის ნაკრებთან. შედეგი უსათუოდ კარგია.

იანვრის სტარტები წარმატებით აღინიშნეს რესპუბლიკის სპორტსმენებმა შინაურ ფრონტზეც. რამდენიმე გამარჯვება ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატებში, ცენტრალური საბჭოების პირველობებში, სამატრო შეხვედრებსა და ტურნირებში მოწმობს, რომ იანვარი ბარაქიანი თვე ყოფილა.

ნ. გუგუშვილი.

ორიოდე სიტყვით

ბრივი. დონეცკში გაიმართა უკრაინისა და აშშ-ს მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. გამარჯვეს უკრაინელებმა — 6:3.

უფრო ადრე, მოსკოვში საბჭოთა ნაკრებთან ამერიკელები დამარცხდნენ ანგარიშით — 4:7.

ფიგურული ციგურაობა. სტრასბურგში (საფრანგეთი) დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები ი. როდნინა და ა. ზაიცევი. ვაჟთა შორის ლიდერია მოსკოველი ვ. კოვალოვი.

ხელბურთი. დანიაში დაწყებულ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო IX ჩემპიონატის ნახევარფინალურ ჯგუფში სსრ კავშირის ნაკრებმა დამარცხა შვეიცის გუნდი — 24:18.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა აბხ. ი. ნ. ცოცაშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

რედაქტორი
დ. მჟელიშვილი.

ბრწყინვალე გამარჯვება

„იზვესტიის“ პრიზზე

თბილისის ზამთრის სამძლეოსნო დარბაზში დამთავრდა მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასის — გაზეთ „იზვესტიის“ პრიზის ზონალური ასპარეზობა. გარდა ამისა, პარალელურად გაიმართა რესპუბლიკის პირადი ჩემპიონატი. გუნდური შედეგები ასეთია: 1. თბილისი I, 2. თბილისი II, 3. ქუთაისი, 4. რუსთავი, 5. ცხინვალი. უნდა აღინიშნოს, რომ ტრავმის გამო კარგა ხნის შესვენების შემდეგ იასპარეზა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. სანეევმა. სამხტომში მისი შედეგია — 15 მ და 47 სმ.

ქალაქთაშორისი

მოგებაც, წაგებაც

თბილისში გაიმართა პირველი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი. დედაქალაქის უნივერსიტეტის სპორტსმენებმა პირველი შეხვედრა მოუგეს ტარტუს „ეხტიაის“ ანგარიშით 101:97, ამავე გუნდთან მეორე მატჩი კი წააგეს — 108:120.

ნანა იოსელიანი თასის მფლობელია

სასიხარულო ცნობა მოვიდა იუგოსლავიიდან: თბილისელმა ნორჩმა მოჭადრაკემ ნანა იოსელიანმა კიკინდაში გამართულ გოგონათა შორის ევროპის თასის გათამაშებაში უკანასკნელი შეხვედრა იუგოსლავ ჩეიჩთან ყაიმით დაამთავრა და 9 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვა. ამგვარად, ნანა იოსელიანმა ყველას გაუსწრო და თასს დაეუფლა.

ნანა იოსელიანის ეს წარმატება შემთხვევითი რომ არ არის, ცხადია, გავიხსენოთ თუნდაც ამასწინანდელი მისი მეორე ადგილი სსრ კავშირის ჩემპიონატში, გავიხსენოთ ისიც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ქალთა ჭადრაკის განვითარების საქმე სანიმუშოდ არის ორგანიზებული. დროის სულ რაღაც პატარა მონაკვეთში 15 წლის გოგონამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ იგი ქალთა საჭადრაკო სამყაროში ერთ-ერთი დიდი ძალაა.

ნანა იოსელიანის წარმატებაში, ცხადია, დიდი წვლილი მიუძღვის მის მწვრთნელს —ელიზბარ უბილავას, რომელიც იუგოსლავიაში ახლდა ნორჩ სპორტსმენს. დღეს მოწაფე და მწვრთნელი მოსკოვს ჩავლენ და იქ რამდენიმე დღეს დაჰყოფენ. ნანა იოსელიანი ხომ მსმენელია დაუსწრებელი საჭადრაკო სკოლისა, რომელსაც ხელმძღვანელობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი.

პრეტენდენტთა ფინალური...

კვლავ ფარმატება

ანგარიშია 4:1

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი გ. გამოეკელი დაუკავშირდა ბადკისინგენს. ტელეფონთან მოვიდა დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი გაჩეჩილაძე. აი, რა გვიამბო მან:

— მეხუთე პარტია, ისევე, როგორც პირველი და მესამე, კუშნირმა ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო. ჩიბურდანიძემ კიდევ ერთხელ მიმართა ძველ ინდურ დაცვას. გათამაშდა ის ვარიანტი, რომელიც პირველ პარტიაში შეგვხვდა, ოღონდ ამჯერად მაიამ მე-11 სვლაზე ახლებურად ითამაშა. კუშნირმა წინ დაძრა პაიკი მეფის ფრთაზე, რასაც ჩიბურდანიძემ საინტერესო კონტრდარტყმით უპასუხა. მეოცე სვლაზე ჩვენმა პრეტენდენტმა ლაზიერი შესწორა ორ მსუბუქ ფიგურასა და პაიკს. მალე მან კიდევ ერთი პაიკიც მოიგო. თეორიების დიდი მატერიალური უპირატესობის მიუხედავად, მდგომარეობა მეტად რთული იყო. ორივე მხარეს კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა მოუხდა. კუშნირი ლაზიერითა და ეტლით შეიჭრა მეფის ფრთაზე, მაგრამ მაიამ სათანადოდ დაიცვა ეს ფრთა. დასკვნითი სვლებისთვის მეტოქეებს ცოტა დრო დარჩათ და ელვის სისწრაფით უხდებოდათ თამაში. პარტია გადაიდო თეორიების მატერიალური უპირატესობით.

აი, როგორ მიმდინარეობდა მეხუთე პარტია:

1. d4 ᵭf6 2. c4 g6 3. ᵭc3 ᵭg7 4. e4 d6 5. ᵭe2 0-0 6. ᵭg5 c5 7. d5 h6 8. ᵭe3 e6 9. h3 ed 10. ed ᵭe8 11. ᵭd3 ᵭh5 12. ᵭge2 ᵭd7 13. g4 ᵭhf6 14. ᵭg3 ᵭe5 15. ᵭe2 a6 16. 0-0 h5 17. ᵭg5 hg 18. hg ᵭ:g4 19. ᵭce4 ᵭh3 20. ᵭe1 ᵭ:e4 21. ᵭ:d8 ᵭ:g3 22. fg ᵭa:d8 23. ℓb3 ᵭc8 24. ᵭf1 ᵭd7 25. ᵭae1 ᵭde7 26. ᵭg2 ᵭd7 27. ℓd1 ᵭ:b2 28. ᵭg4 ᵭe5 29. ᵭh1 f5 30. ᵭf3 ᵭf6 31. ℓd2 ᵭd7 32. ᵭh6 ᵭgf7 33. ℓg5 ᵭg8 34. g4 ᵭg7 35. ᵭf1 ᵭd4 36. ᵭh8 ᵭg8 37. ℓh4 ᵭf6 38. g5 ᵭe5 39. ᵭe1 ᵭgf8 40. ᵭe2 ᵭgf7 41. ℓh6 +

ამ მდგომარეობაში ჩიბურდანიძემ ჩაიწერა 41-ე სვლა.

წუხელ ჩვენ კვლავ დავუკავშირდით ბად-კისინგენს. გიორგი გაჩეჩილაძემ გვაცნობა:

— შეხვედრის განახლებისას მაიამ ათამძრავა პაიკ